

ქართული უნივერსიტეტის VIII პირად-გუნდური ოლიმპიადა
წმიდა ანდრია პირველწოდებულის თასის მოსაპოვებლად

ისტორია - X კლასი

მონაწილის გვარი, სახელი, ტელეფონი _____

სკოლა, კლასი _____

თანაგუნდელის გვარი, სახელი _____

მასწავლებლის გვარი, სახელი _____

I დავალება - ოთხი შესაძლო ვარიანტიდან აირჩიეთ ერთი სწორი პასუხი

ინსტრუქცია

ყოველ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. უნდა შემოხაზოთ სწორი პასუხი. თითოეული დავალება ერთი (1) ქულით ფასდება.

(1) 1. რომელ წელს დაარსდა სორბონის უნივერსიტეტი?

ა. 1213 წ. ბ. 1214 წ. გ. 1215 წ. დ. 1216 წ.

(1) 2. რამდენ მეტრს უდრის ერთი საჟენი?

ა. 1.13 მეტრს ბ. 2.13 მ-ს გ. 3.13 მ-ს დ. 4.13 მ-ს

(1) 3. რომელი პოლიტიკური პარტიის წევრი იყო სამსონ ფირცხალავა?

ა. ეროვნულ-დემოკრატიულის ბ. სოციალისტ-ფედერალისტურის
გ. სოციალ-დემოკრატიულის დ. სოციალისტ-რევოლუციონერულის

(1) 4. ვის შეარქვეს „ილ მილიონე“?

ა. მარკო პოლოს ბ. ჟან შარდენს გ. ჟან ფრანსუა გამბას დ. პლანო კარპინს

(1) 5. ვის ეძახდნენ „ტყუილის მამას“?

ა. თუკიდიდეს ბ. პოლიბიოსს გ. ქსენოფონტეს დ. ჰეროდოტეს

(1) 6. ვის უწოდებენ „სომხეთის ისტორიის მამას“?

ა. ლაზარ ფარპეცის ბ. მოვსეს ხორენაცის გ. აგათანგელოსს დ. ფავსტოს ბუზანდს

(1) 7. ვინ იყო პირველი ქართული სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალ „განთიადის“ გამომცემელი?

ა. არისტო ქუთათელაძე ბ. დავით კარიჭაშვილი
გ. ილია წინამძღვრიშვილი დ. ლუარსაბ ბოცვაძე

(1) 21. „ადრიატიკის ზღვის დედოფალს“ უწოდებდნენ?

ა. ვენეციას

ბ. ფლორენციას

გ. გენუას

დ. ნიცას

(1) 22. რომელ საუკუნეში დაიწყო ოსმალური მონეტის მოჭრა?

ა. XIII ს.

ბ. XIV ს.

გ. XV ს.

დ. XVI ს.

II დავალება - ქრონოლოგიის განსაზღვრა

ინსტრუქცია

დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით ისტორიული პიროვნებები შესაბამისი თანმიმდევრობით (უძველესიდან უახლესისაკენ). პასუხები ჩაწერეთ მოცემულ უჯრებში. იწერება მხოლოდ დასახელებული პიროვნების შესაბამისი ციფრი. II დავალება ოთხი (4) ქულით ფასდება.

(4) 23. დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით უძველესიდან უახლესისაკენ ისტორიული პიროვნებები

1. შაჰ აბას I

2. თემურ ლენგი

3. ჯალალ ად-დინი

4. შაჰ თამაზ I

--	--	--	--

(4) 24. დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით უძველესიდან უახლესისაკენ მოღვაწეობის დროის მიხედვით შემდეგი ისტორიული პირები

1. გარსევან ჭავჭავაძე

2. ფილადელფოს კიკნაძე

3. ვახუშტი ბატონიშვილი

4. გიორგი სააკაძე

--	--	--	--

III დავალება - შეცდომების აღმოჩენა და გასწორება

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. იპოვეთ დაშვებული შეცდომები. ტექსტის ბოლოში წარმოდგენილ პასუხების ცხრილში გადაიტანეთ ნაპოვნი ფაქტობრივი შეცდომები და მათი შესწორებული ვარიანტები. გაითვალისწინეთ, რომ შეფასდება როგორც თქვენ მიერ ნაპოვნი შეცდომა (1 ქულით), ისე მისი შესწორებული ვარიანტი (1 ქულით). ასევე გაითვალისწინეთ, რომ პასუხების ცხრილის შესაბამის ადგილას უნდა ჩაიწეროს მხოლოდ ერთი სიტყვა, თარიღი, სახელი და ა. შ. და არავითარ შემთხვევაში, მთელი წინადადება ან თუნდაც რამდენიმე სიტყვა. III დავალება მაქსიმუმ ათი (10) ქულით ფასდება.

(10) 25. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია

1918 წლის 12 მარტს (ძვ. სტილით) საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია აღდგა. ეგზარქოსობის ხანა საქართველოში დასრულდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ლეონიდე აირჩიეს. ამას მოჰყვა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. თუმცა საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1922 წლის თებერვალში საქართველო საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო - საქართველოში უმძიმესი ხანა დაიწყო. სტარტი აიღო ეკლესია-მონასტრების ნგრევისა და გადაკეთების პროცესმა, სასულიერო პირების აბუჩად აგდებამ და შეურაცხყოფამ. პატიმრობაში აიყვანეს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე, რომელმაც 1922 წელს გენუაში გააგზავნა მემორანდუმი, სადაც ქართული ეკლესიის დაბეჩავებული მდგომარეობის შესახებ წერდა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა 1977 წლიდან, როდესაც გარდაიცვალა კათოლიკოს-პატრიარქი დავით მეხუთე და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ილია მეორე აირჩიეს. თუ მანამდე 15 ეპარქიიდან მხოლოდ 4 ეპარქიას ჰყავდა თავისი მღვდელმთავარი, 1992 წლიდან ყველა ეპარქიას ჰყავს მმართველი ეპისკოპოსები, მთავარეპისკოპოსები და მიტროპოლიტები. ილია მეორის ძალისხმევით 1991 წლის 25 იანვარს მსოფლიო საპატრიარქომ გამოსცა „საქართველოს უწმინდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი“, რომლითაც მსოფლიო საპატრიარქომ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია აღიარა. საქართველოს ეკლესიის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა 2002 წელს კონსტიტუციური შეთანხმების დადება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას შორის, რომელიც არეგულირებს ურთიერთობას სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. კონკორდატის მიხედვით ეკლესია და ხელისუფლება ერთმანეთის საქმეში არ ერევიან.

	არის	უნდა იყოს
1		
2		
3		
4		
5		